ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპერციალისტის ლალი ჩიკვილაძის წერილი (№3582/29, 23.03.2016), სადაც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010 წლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულ **ეთერ კოშაძისთვის** მინიჭებული კვალიფიკაციის კორექტირება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ეთერ კოშაძე 2006 წელს ჩაირიცხა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე თვითდაფინანსებით. (ბრძანება №01-13/53 15.09.2006).

2010 წელს ეთერ კოშაძეს მიენიჭა **ბიზნესის და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ტურიზმის სპეციალობით** (ბრძანება №01-13/46 06.08.2010 - საფუძველი: *ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანის წარდგინება და საატესტაციო-საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დასკვნითი ოქმი* №08-06/30 17.07.2010), მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

ეთერ კოშაძის სახელზე მომზადებულ დიპლომში მითითებული კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას. ეთერ კოშაძის სახელზე მომზადებულ დიპლომში მითითებულია - მინიჭებული აკადემიური ხარისხი - „**ბიზნესის მართვა**“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

დადგინეს: ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის 2010 წლის კურსდამთავრებულს ეთერ კოშაძეს მინიჭებული ხარისხის „**ბიზნესის და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ტურიზმის სპეციალობით**“ ნაცვლად მიენიჭოს აკადემიური ხარისხი - „**ბიზნესის მართვა**“.

2. ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ გიორგი მაისურაძისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპერციალისტის ლალი ჩიკვილაძის წერილი (№3583/29, 23.03.2016). მასში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულის **გიორგი მაისურაძის** დიპლომის დანართი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტემენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ გიორგი მაისურაძე 2003 წელს ჩაირიცხა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე თვითდაფინანსებით (ბრძანება №04-02/04-81. 26.08.2003).

2007 წელს გიორგი მაისურაძეს მიენიჭა ბიზნესის და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტ-მენეჯერის სპეციალობით (ბრძ. №01-38/46 01.07.2007; საფუძველი: დისტანციურ-საკონსულტაციო სწავლების სექტორის ხელმძღვანელის წარდგინება და საკვალიფიკაციო-საატესტაციო საგამოცდო კომისიის დასკვნითი სხდომის ოქმი №20 13.05.2007), მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას და ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბიზნესის და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტ-მენეჯერის სპეციალობით“ გიორგი მაისურაძეს უნდა მიენიჭოს აკადემიური ხარისხი - „ბიზნესის მართვა“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულს გიორგი მაისურაძეს მინიჭებული ხარისხის „**ბიზნესის და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის**“ ნაცვლად მიენიჭოს აკადემიური ხარისხი - „**ბიზნესის მართვა**“.

3. თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ-თათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№3665/29, 22.03.2016). მასში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა **ნათია ბურსულაიას** დიპლომის დანართის დადასტურებული ასლი. დიპლომის დანართის ასლის დასამოწმებლად, საჭირო იყო დიპლომის დანართის ორიგინალი, რაც სამწუხაროდ, არ მოიძებნა არც თსუ არქივში და არც ფაკულტეტზე. ნათია ბურსულაიას სახელზე ახალი დიპლომის დანართის მოსამზადებლად, თსუ რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად უნდა შეიქმნას დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემები და შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი კვალიფიკაციის მინიჭების ოქმი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ნათია ვახტანგის ასული ბურსულაია 2001 წელს მისაღების გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/752, 02.08.2001).

2002 წელს ნათია ვახტანგის ასული ბურსულაია გადაყვანილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის II კურსზე განსხვავებული საგნების ჩაბარების უფლებით ამავე ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობიდან (ბრძანება №4/1191, §4, 27.09.2002).

ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის (საგადასახადო საქმის) სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5, 8.06.2005) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/611, 8.07.2005) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ

ნათია ბურსულაიას მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტი კვალიფიკაციით, სპეციალობით - საგადასახადო საქმე და მიეცა დიპლომი წარჩინებით.

2005 წელს დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებით BH №000353 (სარეგისტრაციო №01/1978) რეგისტრირებულია ნათია ბურსულაიას სახელზე.

თსუ რექტორის 2013 წლის 26 ნოემბრის №2175/01-04 ბრძანებით გაუქმებულად გამოცხადდა ეკონომიკის ფაკულტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულ ნათია ბურსულაიას სახელზე გაცემული დიპლომი BH №000353 (სარეგისტრაციო №01/1978) დიპლომის ფორმაში დაშვებული შეცდომის გამო და გაიცა ახალი დიპლომი წარჩინებითი (BH №000147, სარეგისტრაციო №03/583), რომელშიც აღნიშნულია, რომ „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2005 წლის 8 ივლისის №5 გადაწყვეტილებით ნათია ბურსულაიას მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

ნათია ბურსულაიას სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმით (№5, 8.06.2005) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/611, 8.07.2005) მინიჭებულ ხარისხთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათია ბურსულაიას სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის (BH №000147, სარეგისტრაციო №03/583) შესაბამისად უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმე (საგადასახადო საქმე) სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5, 8.06.2005) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულებს ნაცვლად „ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა“ მიენიჭოთ „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის (საგადასახადო საქმის) სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5, 8.06.2005) გადაწყვეტილებით ნათია ბურსულაიასთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებულ ხარისხთან. კერძოდ, ფინანსები და საბანკო საქმის (საგადასახადო საქმის) სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულ ნათია ბურსულაიას მინიჭებული „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტი კვალიფიკაციით“ ნაცვლად მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართაკენჭისყრა
კენჭისყრისშედეგები: მომხრე – 23
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის (საგადასახადო საქმის) სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5, 8.06.2005) გადაწყვეტილებით ნათია ბურსულაიას მინიჭებული „**ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით**“ ნაცვლად მიენიჭოს „**ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი**“.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. [ფინანსები და საბანკო საქმის \(საგადასახადო საქმის\) სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №5, 8.06.2005](#)) და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.
4. თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2002 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№3569/29, 22.03.2016). მასში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 2002 წლის კურსდამთავრებულ **გიორგი გალოგრესთვის** კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის (აკადემიური ხარისხის) შესაბამისობაში მოყვანა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ გიორგი გალოგრეს 1998 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაზე (ბრძანება №4/570, 5.08.1998).

ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №4) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2003 წლის 10 იანვრის ბრძანებით ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ გიორგი გალოგრეს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი წარჩინებით.

2002 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებით (BH №02388, სარეგისტრაციო №01/289) რეგისტრირებულია გიორგი

გალოგრეს სახელზე. საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილია მხოლოდ გიორგი გალოგრეს სახელზე შევსებული ბაკალავრის დიპლომის დანართი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „გიორგი გალოგრე, დაბადებული 1981 წელს, 1998 წლიდან 2002 წლამდე სწავლობდა ... და 2002 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობით «აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი»“.

გიორგი გალოგრეს სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№4, 18.06.2002) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/32, 10.01.2003) მინიჭებულ ხარისხთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიორგი გალოგრეს სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის (BH №02388, სარეგისტრაციო №01/289) შესაბამისად უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №4) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულებს ნაცვლად „*ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა*“ მიენიჭოს „*ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი*“.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №4) გადაწყვეტილებით გიორგი გალოგრესთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებულ ხარისხთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართაკენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №4) გადაწყვეტილებით გიორგი გალოგრეს მიენიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი კორექტირდეს შემდეგნაირად: ნაცვლად „*ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა*“ მიენიჭოს „*ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი*“.

2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. [ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №4](#)) და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.
5. თსუ ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2004 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№3566/29, 22.03.2016). მასში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის 2004 წლის კურსდამთავრებულ **ნინო ლობჯანიძისთვის** ოქმით მინიჭებული კვალიფიკაციის ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ნინო ნოდარის ასული ლობჯანიძე 2000 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმიანობის სპეციალობაზე (ბრძანება №4/744, 02.08.2000).

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის სპეციალობის დღის სწავლების უფასო განყოფილების კურსდამთავრებულ ნინო ლობჯანიძეს სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №2, 17.06.2004) გადაწყვეტილებით მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/829, 15.07.2004) - მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2004 წელს შეიცვალა ნაწილობრივ ბრძანება №4/829 და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ნინო ლობჯანიძეს ნაცვლად ჩვეულებრივი დიპლომისა გამოეწერა წარჩინების დიპლომი.

2004 წელს დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებით (BH №03706, სარეგისტრაციო №01/61) რეგისტრირებულია ნინო ლობჯანიძის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ „2000 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და

მარკეტინგის ფაკულტეტზე და 2004 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის სრული კურსი სპეციალობით *მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმე*. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით ნინო ლობჯანიძეს მიენიჭა *მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაცია*“.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 17 ივნისის შემაჯამებელ სხდომის (ოქმი №2) გადაწყვეტილებით ნინო ლობჯანიძისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში თსუ რექტორის ბრძანებით (№4/829, 15.07.2004) მინიჭებულ ხარისხთან. გამომდინარე აღნიშნულიდან, თსუ რექტორის (№4/829, 15.07.2004) ბრძანების შესაბამისად უნდა შესწორდეს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 17 ივნისის სხდომის შემაჯამებელი ოქმი და ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით“ კურსდამთავრებულებს უნდა მიენიჭოთ „მატერიალური რესურსების მართვის და საბირჟო საქმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით“.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: თსუ რექტორის ბრძანებასთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მატერიალური რესურსების მართვის და საბირჟო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით ნინო ლობჯანიძისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულ ნინო ლობჯანიძეს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით“ უნდა მიენიჭოს „მატერიალური რესურსების მართვის და საბირჟო საქმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით“.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. [კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მატერიალური რესურსების მართვისა და](#)

საბირჟო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 17 ივნისის სხდომის შემაჯამებელი ოქმი №2 და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2009 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№3585/29, 23.03.2016), რომლის თანახმად საჭიროა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2009 წლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულ **ალექსი ონაშვილისთვის** მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირება.

ალექსი ონაშვილი 2003 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/862, 26.08.2003).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულ ალექსი ონაშვილს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფინანსისტის კვალიფიკაციით (სახელმწიფო დაფინანსება 0%) - ბრძანება №942/01-04, 15.05.2009).

ალექსი ონაშვილისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

ასევე, თსუ რექტორის 2009 წლის 15 მაისის №942/01-04 ბრძანებით ხარისხი მიენიჭა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობების 2009 წლის კურსდამთავრებულებს. კერძოდ;

- ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულებს - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფინანსისტის კვალიფიკაციით;
- აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებს - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბუღალტრის კვალიფიკაციით;

- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებს - ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-ექსპერტის კვალიფიკაციით;
- მაკროეკონომიკის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებს - ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით
- ეკონომიკური თეორიის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებს - ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით;
- ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებს - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 15 მაისის №942/01-04 ბრძანება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციასთან. კერძოდ:

- ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ ნაცვლად მიენიჭოთ „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“;
- აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ ნაცვლად მიენიჭოთ „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“;
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ ნაცვლად მიენიჭოთ „სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“;
- მაკროეკონომიკის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ ნაცვლად მიენიჭოთ „სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“;
- ეკონომიკური თეორიის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ ნაცვლად მიენიჭოთ „სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“;
- ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ ნაცვლად მიენიჭოთ „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულ ალექსი ონაშვილს **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“** ნაცვლად მიენიჭოს **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“**;
2. აღნიშნული ცვლილება განხორციელდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 15 მაისის №942/01-04 ბრძანებაში მითითებულ ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებზე, აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებზე, ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში;
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 15 მაისის №942/01-04 ბრძანებაში მითითებულ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებს, მაკროეკონომიკის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებს და ეკონომიკური თეორიის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებს მინიჭებული **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“** ნაცვლად მიენიჭოთ **„სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“** და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმში გამარჯვებულთა გამოვლენა.

/დეკანის მოადგილე, ნ. ფარესაშვილი/

საკითხის განხილვისა და კენჭისყრის ჩატარების ეტაპზე ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ქვორუმის არარსებობის გამო, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარისა და დამსწრე წევრების ინიციატივით დადგა საკითხი საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების გადადების.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე

თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი

მ. ნაცვალაძე